ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 3870237

გაცემის თარიღი: 23/03/2018 გაცნობის თარიღი: 23/03/2018

განცხადების ნომერი: AR1578249
შემოსვლის თარიღი: 16/02/2018
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.10.001.094
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 78 ; ქალაქი თბილისი , ჭავჭავაძის გამზირი N78 -ის მიმდებარედ;
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1922.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს გრანატ ინვესთმენთ (404510560)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- მისამართი: თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 იანვრის №1059700 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 16 თებერვალს AR1578249 განცხადებით მომართა მოქალაქე ირაკლი შარაშიძემ და მოითხოვა 2014 წლის 15 იანვრის №1059700 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საკადასტრო ერთეულის მონაცემების შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წლის 15 იანვრის №1059700 გადაწყვეტილებით N01.14.10.001.069 და N01.14.10.001.009 საკადატრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 212 კვ.მ. და 300 კვ.მ.) შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობი ს განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ამჟამინდელი მდგომარეობით გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი და დაფიქსირდა ახალი საკადატრო მონაცემები. (N01.14.10.001.094, ფართობი: 1922 კვ.მ).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 იანვრის №1059700 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს განახლებული საკადატრო მონაცემები: საკადასტრო კოდი: 01.14.10.001.094; განცხადების ნომერი: 892017177603; მომზადების თარიღი: 06/12/2017; ფართობი: 1922; ვალდებულების ფართობი : 238 კვ.მ.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 2 ივლისის №771133 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ.

შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge **ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222**

ნომერი: 10/0118333340-18
თარიღი: 29.11.2018 11:04
ვადა: 29.12.2018

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს გრანატ ინვესთმენთ საიდენტიფიკაციო კოდი : 404510560
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამ. #45, მე-9 სართული
საკონტაქტო ინფორმაცია: 558165550;
განცხადების N: განცხადების თარიღი: 29.11.2018
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადების შემომტანი

ფელდეგერი: ნათია ჯღამაძე პირადი ნომერი: 01009017012

განცხადება/ნომენკლატურა

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური
ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა
სამშენებლო მოედანზე

მოთხოვნის ტექსტი

ხე-მცენარეების მოჭრის და გადარგვის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 6
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: საფოსტო მომსახურებით სარგებლობა

